ERASMUS+ საერთაშორისო მობილობა კრედიტების დაგროვებით საფრანგეთში, ქალაქ ლილში

ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამის ერაზმუს+ (Erasmus+) ფარგლებში კრედიტების დაგროვების მიზნით ვიმყოფებოდი საფრანგეთში, ქალაქ ლილში. მობილობა დაიწყო 3 იანვარს და გაგრძელდა 5 თვის განმავლობაში. მიმღები უნივერსიტეტიდან კურირებას მიწევდა საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი ვირა ვანეიპანი. საერთო ჯამში, გავიარე 6 საგანი, რომლიდანაც 15 კრედიტი იქნა აღიარებული გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ. Junia ISA-ს უნივერსიტეტში შევისწავლე წარმოების მენეჯმენტი, ნუტრიციოლოგია, ინგრედიენტები, სენსორული ანალიზი, სურსათის ფიზიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი და ფრანგული ენა. გარდა საუნივერსიტეტო საქმიანობისა აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა კულტურული და გარე აქტივობებით.

საგნები დატვირთული იყო როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნით. ლექციის ბოლოს ვმონაწილეობდი ჯგუფურ სამუშაოებში, რომელიც დაფუძნებული იყო მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. ასევე ძალიან საინტერესო იყო სხვადასხვა სურსათის, თუ სასურსათო ინგრედიენტების მწარმოებელი კომპანიიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ ჩატარებული ლექციები. სენსორული ანალიზის კურსი დაფუძნებული იყო პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ყოველი ლექციის შემდეგ სტუდენტებზე ტარდებოდა ანალიზები, რაც გვეხმარებოდა შემფასებლების როლში ვყოფილიყავით. სურსათის ფიზიკურ, ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ ანალიზში, შევისწავლეთ და ჩავატარეთ ისეთი მნიშვნელოვანი ლაბორატორიული ანალიზები, როგორიც არის პროტეინის განსაზღვრა, რეოლოგია, ცხიმისა და მშრალი ნივთიერების განსაზღვრა და სხვა.

კურსებს შორის დასვენებების დროს ვახერხებდი ასევე სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობას და მათი კულტურის შეცნობას.

საბოლოო ჯამში, საფრანგეთში გატარებული 5 თვე საკმაოდ დატვირთული და შრომატევადი იყო. კურსი დამეხმარა, როგორც უცხო ენების განვითარებასა და გაუმჯობესებაში, ასევე საერთაშორისო დონეზე მეგობრების შეძენაში.

ვფიქრობ, ამ კურსის მეშვეობით განმივითარდა პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ასევე დამეხმარება მიღებული ცოდნის საქართველოში რეალიზებასა და დანერგვაში.